

სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მ-ის საერთო პროექტია, რომელიც ზესტაფონში მდებარეობს. „კონსტრუქტ2“ ორიენტირებულია ქვეყანაში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე და მიზნად ისახავს გახდეს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონდე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც შეძლებს უალტერნატივო კადრებით შრომის ბაზრის უზრუნველყოფას.

დაწესებულება, როგორც მოგეხსენებათ, უწყვეტად ამზადებს პროფესიონალ კადრებს, შესაბამისად საშემოდგომოდ ვიღებთ ახალ ნაკადს, როგორც მომზადების პროგრამებზე, ასევე ახალ, აქტუალურ და საინტერესო საგანმანათლებლო პროგრამებზე.

მომზადების პროგრამების, მთავარი მიზანია მოკლე დროში მოვამზადოთ სამშენებლო სექტორში პროფესიონალები და ვუზრუნველყოთ მათი დასაქმება ჩვენს თანადადამფუძნებელ კომპანია „BK Construction-ში“. 2021 წლის საშემოდგომოდ მიღება განხორციელდება 5 მომზადების პროგრამაზე (მისაღები ადგილების რაოდენობა - 150) :

1. არმატურისა და ბეტონის ნაკეთობის დამზადება მშენებლობაზე;
2. მშენებლობაზე ქარგილების, კარ-ფანჯრისა და იატაკის მოწყობა;
3. საკალატო სამუშაოების შესრულება;
4. სხვადასხვა სახის საბათქაშე სამუშაოების წარმოება;
5. ელექტრო-რკალური შედუღება;

პროგრამის ხანგრძლივობა არის 4.5 თვე, 2 თვის განმავლობაში მსმენელები გადიან პრაქტიკულ და თეორიულ სწავლებას დაწესებულების ბაზაზე და 2,5თვის განმავლობაში გავილიან ანაზღაურებად საწარმოო პრაქტიკებს საქართველოში არსებულ ერთ-ერთ წამყვან სამშენებლო კომპანია BK Construction-ის სამშენებლო ობიექტებზე. წარმატებული კურსდამთავრებულები დასაქმდებიან კომპანიის ობიექტებზე, სადაც მათი წლიური შემოსავალი 15,000ლ-მდეა.

მიღება ასევე ხორციელდება 3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე :

1. **შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები (2წელი)** - პროგრამის მიზანია, კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს შეიძულებას დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მექანიზმი. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერი/სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს: სხვადასხვა სფეროების: მშენებლობის, ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, ნავთობისა და გაზის, ლოჯისტიკის, ტრანსპორტის, მძიმე მრეწველობის, სამთო მრეწველობის, საზღვაო პორტების, კომუნიკაციების, ტურიზმის, სარესტორნო, გასართობ, სავაჭრო, საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
2. **თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი(14 თვე)** - პროგრამის მიზანია, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება კედლის თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის მიმართულებით, რომლებიც შეძლებენ თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების სამონტაჟო სამუშაოების შესრულებას. პროგრამა მოიცავს, როგორც ზოგად, ასევე პროფესიულ მოდულებს.

თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟეს შეუძლია დასაქმდეს :

1. სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე ღია ან/და დახურულ სივრცესა და სიმაღლეზე;
2. სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარემონტო და დიზაინერულ კომპანიებში, სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულებაში;

**3. ინტეგრირებული პროგრამა კომპიუტერული ქსელი და სისტემები (3წელი) -** პროგრამა მოიცავს, როგორც საშუალო საფეხურის (მე-10, მე-11 და მე-12 კლასის პროგრამა) ასევე პროფესიის დაუფლებისთვის საჭირო მოდულებს. პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა მსურველს, ვისაც მიღებული აქვს საბაზო ზოგადი განათლება (დასრულებული აქვს 9 კლასი).

კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროგრამის მიზანია კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს კომპიუტერის აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის, მცირე ზომის ქსელების ორგანიზებისა და გამართვის, ბაზისური სერვერული სერვისების ადმინისტრირების უნარ-ჩვევებს; პროგრამა მოიცავს, როგორც ზოგად და პროფესიულ, ასევე ინტეგრირებულ მოდულებს. ქსელისა და სისტემების სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და ადგილობრივ/საერთაშორისო კომპანიებში.

**!** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ქსელი და სისტემები სწავლება მიმდინარეობს სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ-ში“.

**!** ინტეგრირებული პროგრამის დასრულების შემდგომ გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული პროფესიული განათლების დიპლომი.

**!** პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია სწავლა გააგრძელოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ყველა პროგრამაზე სწავლა და საერთო საცხოვრებლით სარგებლობა დაფინანსებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

ჩვენი მიზანი, რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის დასაქმებისა და პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა. სწორედ ამ მიზნით, კიდევ ერთხელ გთხოვთ რომ დაგვეხმაროთ იმერეთის მხარეში არსებულ რაიონებში მოსახლეობასთან შეხვედრების დაგეგმვაში და საჭირო ინფორმაციის გავრცელებაში.